პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 278 (10054) | ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან (1-ლი გვერდი).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსაგან (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში. — სახალხო სასამართლოების არჩევნებში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ (1-ლი გვერდი).

აგიტატორის საუბარი. — შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩვენი მთავარი ამოცანაა (მე-2 გვერდი).

გ. სიხარულიძე. — დავეუფლოთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ხელოვნებას (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — საოლქო გაზეთი და შემოქმედებითი ორგანიზაციები (მე-2 გვერდი).

სარედაქციო ფოსტიდან (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის დიადი ძალისა და ცხოველმყოფელობის წყაროს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი — ყველაზე მოწინავე რევოლუციური მოძღვრება, რომელიც სწორად ასახავს ეკონომიური განვითარების ობიექტურ კანონებს, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მოთხოვნილებებს. მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად, შემოქმედებითად დაუფლება ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის შეგნებულობის ზრდისა და პოლიტიკური წრთობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოპოვების საწინდარია.

სკკპ XIX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით მოსთხოვა ბოლო მოუღონ იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ლიბერალიზმისა და უდარდელობის, იდეოლოგიური შეცდომებისა და დამახინჯებების წინააღმდეგ, სისტემატურად გააუმჯობესონ და სრულყონ ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი „იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ“ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ახორციელებენ რა იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიის XIX ყრილობისა და სკპ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ზრუნავენ კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. პარტიის წესდების მოთხოვნების მიხედვით პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა პარტიული განათლების მთელ სისტემაში.

ქ. ჭიათურის, ქობულეთის, ნახარაძის რაიონებში სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში მომზადებულად შეხვდნენ. აქ კარგად არის დაყენებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, მოსახლეობაში ზნრად იმართება პოლიტიკური მოხსენებები, ლექციები, საუბრები.

მაგრამ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სუსტად არის დაყენებული. ჯეროვნად არ შუქდება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის როლი, ისტორიაში ხალხის მასებისა და პიროვნების როლი, პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების მთავარი იარაღი და სხვა. აღმოფხვრილი არ არის მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო მედავითნობა, დოგმატიზმი, მეციტატეობა. ახალქალაქის, კასპის, გარეუბნის, ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონების პარტიული ორგანიზაციების ბევრ წრეში, პოლიტსკოლებსა და სემინარებზე ადგილი აქვს ცალკეულ დებულებების სქოლასტურ, სკოლარულ დაზეპირებას, სწავლების კითხვა-პასუხის მეთოდს. ჩოხატაურის რაიონის 9 კოლმეურნეობაში ათი თვის მანძილზე არ წაკითხულა არც ერთი ლექცია, 20 სოფელში არ უჩვენებიათ კინოფილმები. მთელ რიგ პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე იმართება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა აქამდე უნდა წარმართონ, რომ კომუნისტებმა ღრმად შეისწავლონ პარტიის გმირული ისტორია და თეორია, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომები, პარტიის ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

პოლიტიკური აგიტაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური საბრძოლო ამოცანაა, მაგრამ მთელ რიგ რაიონებში, როგორიცაა ახმეტის, ხობის, ონის, ხაშურის, გულრიფშის და სხვა, ხშირად პოლიტიკურ აგიტაციას აქვს ზერელე-ინფორმაციული ხასიათი, იგი წარმოებს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტით, რის გამოც იგი ნაკლებად უწყობს ხელს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას და დანერგვას, არსებული რეზერვების გამოვლინებას და სრულ გამოყენებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა აწარმოონ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, თავიანთ მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ“. არ დაუშვან მორწმუნეთა, კულტის მსახურთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას საფუძვლად უნდა დაედოს ახსნა-განმარტება ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ოვლენებისა, რომლებიც ადასტურებენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მატერიალისტურ შეხედულებათა სისწორეს.

მასებში იდეოლოგიური მუშაობის შესუსტებით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით მოსახლეობის ერთ ნაწილში კაპიტალიზმის გადმონაშთებს, შრომისადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების, სახელმწიფო ქონების მტაცებლის, ხულიგნობის, ლოთობის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების ფაქტებს.

იდეოლოგიური მუშაობის შენდგომი ამაღლების საქმეში უდიდესი მუშაობა უნდა გასწიონ შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებმა. განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არ უწევენ ჯეროვან დახმარებას რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობას უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში. საჭიროა ამაღლდეს ლიტერატურისა და ხელოვნების როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები ნაკლებად არიან დაკავშირებულნი სოფელთან. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები სათანადო დახმარებას არ უწევენ კულტურის სახლებსა და საკოლმეურნეო კლუბებს მუშაობაში. ამოცანა აქამდე ის არის, რომ კულტურის რაიონული სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო სოფლად კულტურულ-მასობრივი მუშაობის ნამდვილ ცენტრებად გადავაქციოთ, ახალი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ.

იდეოლოგიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა პრესას და რადიოს. მთელი რიგი ჟურნალების, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ერთი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ სუსტად აშუქებენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. გაზეთი „კომუნისტი“ და საოლქო გაზეთები ცოტას აქცევენ კვალიფიციურ სტატიებს, ლექციებს, კონსულტაციებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე. გაზეთები საჭირო დახმარებას არ უწევენ პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული მუშაობის განზოგადებასა და გავრცელებაში, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლაში.

იდეოლოგიური მუშაობა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ტურეუაზიული იდეოლოგიის ნაშთები თავისთავად არ კვდება, საჭიროა მათ წინააღმდეგ შეუნელებელი, გადამწყვეტი, შემტევი ბრძოლა. ჩვენი მოვალეობაა აღვზარდოთ მშრომელები სოციალისტური პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ყოველმხრივ გავაძლიეროთ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, მაღალ დონეზე ავიყვანოთ ბუნებათმეცნიერული, ათეისტური პროპაგანდა. ლექციური პროპაგანდა დაკავშირებულ უნდა იყოს ცხოვრებასთან, ხელს უნდა უწყობდეს ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას. იდეოლოგიურ მუშაობაში უნდა ჩავაბათ ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია. საჭიროა, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები სისტემატურად გამოდიოდნენ მასების წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით და საუბრებით აქტუალურ საკითხებზე.

პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დიდი ადგილი უნდა ეთმობოდეს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. მაგრამ აბაშის, კაჭრეთის, ცხაკაიას, წითელწყაროსა და სხვა რაიონების ზოგიერთ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სუსტად აკრიტიკებდნენ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებს.

იდეოლოგიურ მუშაობას ყოველდღიურად, კონკრეტულად უნდა ვხელმძღვანელობდეთ. მის სწორად მოწყობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ. კარგად დაყენებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გვეხმარება საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში.

მკვეთრად ავამაღლოთ მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა — ასეთია პარტიული ორგანიზაციების სამბრძოლო ამოცანა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმის შესრულება

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულეს. ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა გრძელდება.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ნაკისრი ვალდებულებანი შეასრულეს

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 8.400 ცენტნერი ხილი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 6 ათასი ცენტნერისა.

• • •

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. სახელმწიფოს ჩაბარდა 7.300 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 7 ათასი ცენტნერისა.

ჯყიბულელმა მეშახტეებმა 11 თვის გეგმა გაანაღლეს

ტყიბული. (ტელეფონით საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტმა 19 ნოემბრის პირველ ცვლაში ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების 11 თვის დავალება. შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 19,4 პროცენტით, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 6,7 პროცენტით. აწის შედეგად ტყიბულელმა მეშახტეებმა უკვე გასწიეს 1,4 მილიონ მანეთის ეკონომია.

ქვანახშირის ამოღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდებულია 13 პროცენტით.

ჭიათურის მარგანეცის ზრესზის კოლექტივმა გაიმარჯვა ნიკოპოლელებთან შეჯიბრებაში

ჭიათურა, 22 ნოემბერი. (საქდესი). აქ მიღებულია ცნობა, რომ მავი მეტალურგიის სამინისტროს და მავი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტსა და ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები. პირველობა შეჯიბრებაში ეიღნიკა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივს.

ჭიათურელმა მაღაროელებმა მესამე კვარტალში მარგანეცის ამოღების გეგმა შეასრულეს 105,9 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა — 103,1 პროცენტით. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გადიდდა 2,4 პროცენტით.

დაიწყო საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VIII ოლიმპიადა

გუშინ თბილისში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიწყო საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა.

მხატვრული თვითმოქმედების VIII ოლიმპიადის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. ა. გუნიამ ოლიმპიადის დაწყების წინ წარმოთქვა სიტყვა. მან აღნიშნა, რომ ხალხური თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა მნიშვნელოვანი მოვლენაა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული ხელოვნების ისტორიაში, მიულოცა მაყურებლებს და ოლიმპიადის მონაწილეებს ხალხური შემოქმედების ზეიმის დაწყება.

ოხსნება ფარდა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ვაჭრობის კულტურის სახლის, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, თბილისის მილიციის სამმართველოს, თბილისის მასწავლებლის სახლის და თბილისის გარეუბნის რაიონის მასწავლებლების მომღერალთა გაერთიანებული გუნდები, მილიციის მთავარი სამმართველოს სასულე ორკესტრის მონაწილეობით, ასრულებენ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს და სიმღერას პარტიაზე (მუსიკა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ა. მაჭავარიანისა).

ოლიმპიადის პირველ დღეს ხალხური მხატვრული თვითმოქმედების საქმეში მოპოვებული მიღწევებით მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ბაქრაძის ხელმძღვანელობით), ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ქარსელაძის ხელმძღვანელობით), საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მომღერალთა გუნდი (ჯ. ზ. ლაშვილისა და ნ. ფაღლოძის ხელმძღვანელობით), კულტურის ცენტრალური სახლის მეფანდურეთა ანსამბლი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. არჯევანიშვილის ხელმძღვანელობით), აძიერკაკასიის რკინიგზის საავადმყოფოს მომღერალთა გუნდი (ბამაზოვის ხელმძღვანელობით), მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის კლუბის ქორეოგრაფიული კოლექტივი (კ. ჩიკაძის ხელმძღვანელობით) და ხაშურის, აბაშის, ყაზბეგის, ზესტაფონის, ცხაკაიას, ახმეტის, ქუთაისის, ამბროლაურის, ახალქალაქისა და მესტიის რაიონების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა ხუთ დღეს გასტანს.

დღეს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თავიანთი შემოქმედებით გამოვლენ ქალაქების — თბილისისა და რუსთაველის, გურჯაანის, ზუგდიდის, მცხეთის, ონის, სამტრედიის, სოღაღის, წითელწყაროს რაიონების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

9 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნახევარ ჰექტარზე

ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციას, რომელიც მოსავლელად მაქვს ჩაბარებული, კარგად მოვუვარე. მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შევასრულე ყველა სამუშაო: გადაბარვა, სასუქების შეტანა, გათოხნა და გასხვლა-გაფორმება. შედეგი საუკეთესო მივიღე. ნახევარ ჰექტარზე მოვკრიფე 9 ათასამდე კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 5.800 კილოგრამს ითვალისწინებდა. მოკრეფილი ფოთლიდან 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ლაოჩაის მოვკრეფ 500 კილოგრამს.

ვიყავი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. გამოფენამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებული ყურადღებით დავათვალიერე სუბტროპიკული კულტურების, კერძოდ ჩაის განყოფილება. იქ მიღებულ მდიდარ გამოცდილებას ფართოდ გამოვიყენებ და ამით კიდევ უფრო გავზრდი ჩაის ფოთლის მოსავლიანობას.

გ. ჯინჭარაძე,
ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

ბოსტნეულის უხვი მოსავალი

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). დაბა თეთრი წყაროს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეებმა წელს კარგად იმუშავეს და თვითეულ ჰექტარზე 250 ცენტნერ ბოსტნეულს იღებენ.

ამ წარმატებას საფუძველი ჩაუყარა მებოსტნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც მ. ზაპრუდსკი ხელმძღვანელობს. აქ გამოიყენეს მოწინავე მებოსტნეთა გამოცდილება, დიდი რაოდენობით გამოიყვანეს ბოსტნეულის ჩითილი ნაკელ-მიწის ქოთნებში და დარგეს კვადრატულად, რამაც ხელი შეუწყო მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას.

აგროწესების დაცვისა და ახალი მეთოდების დანერგვის შედეგად ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 287 ცენტნერი პამიდორი, 203 ცენტნერი კიტრი, 150 ცენტნერი სტაფილო და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხახვის დიდი მოსავალი: საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 395 ცენტნერი, გეგმა კი 80 ცენტნერს ითვალისწინებდა.

კოლმეურნეობამ უკვე გაანაღდა სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა და დიდი რაოდენობით გაყიდა საკოლმეურნეო ბაზარზეც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1954 წლის 22 ნოემბერს ნიუ-იორკში უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აკადემიკოსი

ამხანაგი ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგია და მუშაკთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენლის ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსაგან

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საბჭოთა სამშობლოს ერთგული შვილის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის გარდაცვალების გამო.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. შეიქმნას ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები — მ. გ. პერვუხინი (თავმჯდომარე), ა. ა. გრომიკო, კ. პ. გოროშენინი, ა. თ. გორკინი და მ. ა. იასნოვი.

2. ა. ი. ვიშინსკის ცხედარი გადმოსვენებულ იქნას მოსკოვს.

ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

გუშინ, 23 ნოემბერს, კუბო ა. ი. ვიშინსკის ცხედრით სპეციალური თვითმფრინავით გამოიგზავნა ნიუ-იორკიდან მოსკოვს. კუბოს ა. ი. ვიშინსკის ცხედრით მოაცილებს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. გ. ნ. ზარუბინი.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოეწყობა გარდაცვალებულთან გამოთხოვება. ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვა მოხდება წითელ მოედანზე.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გარდაცვალებულ ა. ი. ვიშინსკისთან გამოსათხოვებლად შესვლის დაწყებისა და დაკრძალვის დრო გამოცხადდება დამატებით.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

სახალხო სასამართლოების არჩევნებში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო დადგენილება სახალხო სასამართლოების არჩევნებში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

მომავალი არჩევნები, ნათქვამია დადგენილებაში, მოხდება მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის ეკონომიკისა და მშენებლობის ყველა დარგის ახალი შრომითი აღმავლობის ვითარებაში, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების ძლავრი გაჩაღების პირობებში. სახალხო სასამართლოების არჩევნები უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიაა, რომელიც ნავარაუდევია სამართლის წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს კანონების უმტკიცესად შესრულებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ დაავალა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, გააჩაღონ ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა იმისათვის, რომ სახალხო სასამართლოთა შემადგენლობაში არჩეულ იქნან ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები.

საწარმოებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებსა და საერთო საცხოვრებლებში ამომრჩევლებისათვის უნდა მოეწყოს ლექციები, ნოხსენებები და საუბრები სსრ კავშირის კონსტიტუციის, საბჭოთა სასამართლოს დემოკრატიული პრინციპებს, საბჭოთა რევოლუციური კანონიერების შესახებ. ყოველ ამომრჩეველს უნდა გავაცნოთ სახალხო სასამართლოთა არჩევნების დებულება. ამომრჩეველთა კულტურული მომსახურებისათვის საჭიროა გაანოვიყენოთ პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

საკავშირო პროფსაბჭო მოუწოდებს მუშებს, მოსამსახურეებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მეცნიერებსა და კულტურის ნუშაკებს, პროფკავშირის ყველა წევრს აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, აირჩიონ სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც ავტორიტეტი და ნდობა ნოიპოვეს მასებში და შეუძლიათ საქმით განახორციელონ საბჭოთა მართლმსაჯულება. (საქდესი).

აგიტპატორის საუბარი

შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩვენი მთავარი ამოცანაა

— ამხანაგებო! დღეს ჩვენი საუბრის თემა იქნება „შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“.

დიდი ლენინი პარტიას, საბჭოთა ხალხს ასწავლიდა, რომ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა გადამწყვეტ ამოცანას წარმოადგენს, რომ უამისოდ შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების აშენება.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გადაუდებელ ამოცანად დასახეს მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი აღმავლობის მიღწევა. სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა თვითეულ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართო გამოხმაურება და მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულმა მოწოდებამ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამ შესანიშნავ შეჯიბრებაში ჩვენი ქარხნის კოლექტივიც ჩაება და გადიდებული ვალდებულებანი იკისრა. რა არის საჭირო ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის? უწინარეს ყოვლისა საჭიროა თვითეული ჩვენგანი თავდადებით მუშაობდეს თავის საწარმოო უბანზე, უჩვენებდეს შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს.

ექსკავატორების გამომშვები უბნის ძირითადი და მთავარი პროფილის პროდუქციაა საშახტე ექსკავატორი — „Э-258“. ამ მანქანაზე დიდი მოთხოვნილებაა. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა კიდევ უფრო გავადიდოთ საშახტე ექსკავატორების გამოშვება. შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობის გზით უბნის კოლექტივმა არსებული საწარმოო ფართობიდან და არსებული ტექნიკით სექტემბერსა და ოქტომბერში 30 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე წლის დასაწყისში. გამონახული და გამოყენებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის მიღწევის ბევრი რეზერვი.

თქვენთვის ცნობილია, თუ რა კარგი შედეგი გამოიღო იმან, რომ მოეწყო ცალკეული მუშების ერთ რომელიმე მანქანაზე მუშაობა და მათ მიერ ერთისა და იმავე ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვება. ამან ხელი შეუწყო მუშის კვალიფიკაციისა და დახელოვნების ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ეს ნათლად ჩანს ხარატების ი. პისარენკოს და კ. ნალიმოვის მაგალითზე. მათ ჩაბარებული აქვთ ჩარხი, რომელიც ექსკავატორის ყველაზე რთულ დეტალს — მბრუნავ ბაქანს ამუშავებს. თუ წინათ ამ ღონისძიების განხორციელებამდე ისინი თვეში მხოლოდ ორ დეტალს ამუშავებდნენ, ამჟამად 8 დეტალს ამზადებენ.

> ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკურ-ამწყობი საამქროს ექსკავატორების უბანზე სასადილო შესვენების დროს 30-მდე კაცი შეიკრიბა. აგიტატორ ვ. ცომაიას საუბრის მოსასმენად მოვიდნენ ზეინკლები, ხარატები, მჩარხავები და შემდუღებლები. აგიტატორმა ამჯერად საუბარი გამართა თემაზე: „შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“.
>
> საუბარმა მსმენელთა დიდი ინტერესი და აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

ხმა ადგილიდან: — არის თუ არა შესაძლებლობა, რომ ეს ღონისძიება მასობრივად დაინერგოს ჩვენს უბანზე? რატომ არ შეგვიძლია ჩვენც ისე ვიმუშაოთ, როგორც ი. პისარენკო და კ. ნალიმოვი მუშაობენ.

აგიტატორი: — დიახ, ასეთი შესაძლებლობა არის. აუცილებელია გადაი-სინჯოს უბნის მანქანა-დანადგარები და მოხდეს მათი ცალკეული მუშებისათვის ჩაბარება იმ მიზნით, რომ თვითეული მათგანი მუშაობდეს ერთსა და იმავე ჩარხზე და მუდმივად უშვებდეს გარკვეული სახის პროდუქციას. ამ საქმით, უეჭველია, დაინტერესდება ქარხნის პარტიული ორგანიზაცია.

— შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საქმეში, — განაგრძო აგიტატორმა, — დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას. ამის მისაღწევად უბანში შეიქმნა დანადგართა შემკეთებელი ბრიგადები, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ესა თუ ის მანქანა. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა დანადგართა მოცდენა.

მჩარხველი შ. კეკელიძე: — მოცდენის შემთხვევები ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. რა ზომებია მიღებული მათი სრული ლიკვიდაციისათვის?

აგიტატორი: — მართებული შენიშვნაა. მოცდენის შემთხვევები ისევ არის. მაგალითად, ოქტომბერში სახეხი ჩარხი ერთ კვირას მოცდა დაზიანების გამო. გათვალისწინებულია იმ მანქანა-დანადგართა შესაკეთებლად, რომლებსაც სასწრაფო რემონტი ესაჭიროება, ყოველდღიურად შედგეს განრიგი. ამ განრიგის შედგენაში უნდა ჩაებას ყველა მუშა, ოსტატი, ცვლის უფროსი.

თქვენ კარგად იცით, რომ ნედლეულის ხარისხი დიდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. სრულფასოვანი სხმული დიდად უადვილებს მუშაობას ხარატებს და ზეინკლებს. მაგრამ ჩვენთან ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. საიარაღო საამქროს მიერ გამოშვებული სხმული ყოველთვის არ არის მაღალხარისხოვანი.

კბილანმჭრელი ა. ბარამიძე: — საიარაღო საამქრო კვლავ უშვებს წუნიან სხმულს. მაგალითად, 10 ნოემბერს დეტალი 55-012 უვარგისი აღმოჩნდა. იმათ წინააღმდეგ, ვინც წუნიან სხმულს უშვებს, საჭიროა სასტიკი ზომების მიღება.

აგიტატორი: — სამართლიანი მოთხოვნაა. საიარაღო საამქროს ცუდი მუშაობა ყველასათვის ცნობილია. მის შესახებ საკითხი მრავალჯერ დაისვა, რადგან ეს საამქრო ჩვენს უბნის მუშაობის შემაფერხებელია. არის შემთხვევები, როცა წუნიანი სხმულის უვარგისობა სულ ბოლო ოპერაციის შესრულების დროს გამომჟღავნდება და მთელი მუშაობა ფუჭი ხდება. საჭიროა საწარმოს ადმინისტრაციამ სათანადო ღონისძიებანი მიიღოს საიარაღო საამქროს საქმიანობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის.

ვისთვის არ არის ცნობილი, რომ რაც უფრო კარგად არის მოწყობილი სამუშაო ადგილი, რაც უფრო მეტია კულტურა საწარმოში, ხოლო მუშა მომარაგებულია ყოველივე იმით, რაც მას საწარმოო ოპერაციის შესრულებისას სჭირდება, მით უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობს იგი, არ ცდება და მეტ პროდუქციასაც იძლევა.

მბურღავი ნ. ბელიაევი: — ეს კი ვიცით, მაგრამ ცუდი ის არის, რომ არც ახლა გვაქვს საკმაო ხელსაწყო-იარაღები.

აგიტატორი: — ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თუ აქამდე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებიდან შემოგვქონდა საჭრისები და სამარჯვები, ახლა ადგილზევე მოეწყოს ამ ხელსაწყოების დამზადება.

სამუშაო ადგილის მოწყობასთან დაკავშირებით მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. ჩვენს უბანზე ექსკავატორის ათასზე მეტი ნაწილი მზადდება. წინათ ნამზადის მიწოდება დილის საათებში ხდებოდა, რაც დიდ მოცდენას იწვევდა. ამიერიდან კი უბნის მომარაგება ნამზადით დაიწყება დღის ბოლოს. ეს დიდად შეუწყობს ხელს შეუფერხებელ, მაღალნაყოფიერ მუშაობას.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდმნიშვნელოვანი პირობაა. მართალია, ჩვენს უბანზე შეჯიბრებაში ჩაბმულია თითქმის ყველა მუშა, მაგრამ სისტემატურად არ ხდება ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ამასთან არის შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები.

დასასრულ მინდა შევეხო შრომის დისციპლინის საკითხს, რაზეც დიდად არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ზრდა. სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევები ჩვენთან ჯერ კიდევ ხშირია. მაგალითად, ჭ. გამგებელი, ა. ცაცუროვი და სხვები ხშირად იგვიანებენ 15-20 წუთით. უფრო მეტიც, დ. ჟორჟოლიანი სამუშაო დროს უსაქმურად ატარებს. საჭირო იქნება დავაყენოთ საკითხი პარტიული ორგანიზაციის წინაშე გადამწყვეტი ზომები მიიღოს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ჩვენი უბნის მუშების ამოცანაა გამოავლინონ და გამოიყენონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა რეზერვი და საშუალება. ეს თვითეული მშრომელის ღირსებისა და სახელის საქმეა, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების გადიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმიდან კომუნიზმში ჩვენი ქვეყნის თანდათანობით გადასვლისათვის.

მოსკოველთა პატრიოტულ მოწოდებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის მაუდ-ქამოლის კომბინატის კოლექტივი. ფეიქრები შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებას. საქსოვი საამქროს მოწინავე მქსელავი ს. თურქია და მიმწოდებელი მ. კოლიაგინა ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებენ. **სურათზე:** ს. თურქია (წინა პლანზე) და მ. კოლიაგინა მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის

სამტრედიელი და გურჯაანელი მეაგურეების შეჯიბრება

სამტრედია. (საკ. კორ.). **სამტრედიის აგურის ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის განვლილ წლებში საწარმოო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მეაგურეებმა გადაწყვიტეს აგურის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1955 წლის 1 ივლისისათვის. ამასთან ღუმელზე ნახშირის მიწოდებისა და ღუმელში აგურის ჩატვირთვა-გამოტვირთვის მექანიზაციის განხორციელებით, კარიერებზე ახალი მექანიზმების გამოყენებითა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის გზით უზრუნველყონ 1950 წლის დონესთან შედარებით შრომის ნაყოფიერების გადიდება სულ ცოტა 15 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება — 13 პროცენტით.**

ხუთწლედის ვადამდე განაღდებაში უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად სამტრედიელმა მეაგურეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს გურჯაანელი მეაგურეები.

ორი თვით ადრე

ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა მოსკოველთა ინიციატივის პასუხად ახალი სოციალისტური ვალდებულება აიღო. მან იკისრა ტვირთზიდვის ხუთწლიანი გეგმის დავალება შეასრულოს ორი თვით ადრე, ხოლო ელექტრომავლების საერთო გარბენისა — 1955 წლის ოქტომბერში.

დეპოელებმა აგრეთვე გადაწყვიტეს ტექნიკური სიჩქარე საშუალოდ 3,5 პროცენტით გაადიდონ, ხუთწლედის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გადაიტანონ ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 5 პროცენტით 1954 წელს მიდწეულ დონესთან შედარებით და 1955 წლის დასასრულისათვის ზეგეგმითი დაგროვება აიყვანონ 1,5 მილიონ მანეთამდე.

ხაშურელი მელექტრომავლეები უკვე შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებას.

პრესის მიმოხილვა

საოლქო გაზეთები შემოქმედებითი ორგანიზაციებიდან

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „ფიდიუჯგის“ მიმდინარე წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა მ. გაბულოვის წერილი „ჯარისკაცის სახე ოსურ პოეზიაში“. წერილის მიზანი იყო მოეცა დიდი სამამულო ომის პერიოდის ოსური პოეზიის ანალიზი, მაგრამ მ. გაბულოვმა საბჭოთა პატრიოტიზმის გაშუქებაში უხეში შეცდომა დაუშვა. მან თავის წერილში პროპაგანდა გაუწია გ. პლიევის პოლიტიკურად მავნე ლექსებს. საოლქო გაზეთმა **„საბჭოთა ოსეთმა“** სამართლიანად გაილაშქრა ამ წერილის წინააღმდეგ, რომელიც ხოტბას ასხამდა საბჭოთა ჯარისკაცზე ცილისწამებით და ანტიპატრიოტული გამოხდომებით სავსე ლექსებს.

„იმის ნაცვლად, რომ შეჩერებულიყო გ. პლიევის ანტიპატრიოტულ ნაწარმოებებზე,— წერდა გაზეთი სტატიაში „გ. პლიევის ანტიპატრიოტული ლექსები და მათი ვაი-პროპაგანდისტი“,—გამოეაშკარავებინა პოეტის უხეში შეცდომები, მ. გაბულოვმა მოისურვა მკითხველი დაერწმუნებინა, თითქოს ამ ლექსებში ნაჩვენებია საბჭოთა ჯარისკაცის ღრმა პატრიოტიზმი“.

სამწუხაროდ, ასეთი მებრძოლი ხასიათის სტატია ოსური ლიტერატურის განვითარების საკითხებზე გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ გამონაკლისია. ამასთან არის ფაქტები, რომ ჟურნალ „ფიდიუჯგში“ ზოგჯერ იბეჭდება პოლიტიკურად მავნე, საბჭოთა მკითხველისათვის უცხო და მიუღებელი ნაწარმოებნი. მაგალითად, ჟურნალის მიმდინარე წლის მესამე ნომერში გამოქვეყნებულია ოსი პოეტის ნაფი ჯუსოევის ორი ასეთი იგავ-არაკი. „იგავ-არაკი იხვზე“ გამსჭვალულია ჩვენი პარტიის პოლიტიკისათვის უცხო სულისკვეთებით, ხიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა, კერძოდ, ქართველი და ოსი ხალხების ურღვევ მეგობრობას. მეორე იგავ-არაკში „დათვი, მგელი და ცხვარი“ მამაცი საბჭოთა ადამიანები დახატული არიან სრულიად შეუფერებელი, შეურაცხმყოფელი ფერებით, გამოუკვანილი არიან დაკნინებულად. ამ იგავ-არაკების გამოქვეყნებით ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.

გამოეხმაურა თუ არა გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ ოლქის ლიტერატურულ ცხოვრებაში ამ დასაგმობ მოვლენას? გამოეხმაურა, ოღონდ მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე იმსჯელა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ და სათანადო სასჯელი დაადო უხამსი იგავ-არაკების ავტორს ნ. ჯუსოევს და ჟურნალ „ფიდიუჯგის“ რედაქტორს ფ. გაგლოევს...

გაზეთი მოწოდებული იყო ეს ფაქტი აღრეკილებინა, მაგრამ რატომღაც გამბედაობა არ ეყო. საერთოდ, „საბჭოთა ოსეთი“ ერიდება ჟურნალ „ფიდიუჯგის“ გაკრიტიკებას, არ ბეჭდავს ჟურნალის მიმოხილვებს. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია კი კრიტიკულად არ უდგება დასაბეჭდ მასალებს, ზოგჯერ არწყენინებს „პრინციპს“ ადგას.

მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილება ოლქში ერთ-ერთი დიდი შემოქმედებითი ორგანიზაციაა. საოლქო გაზეთი მოვალეა ფართოდ აშუქებდეს ამ განყოფილების საქმიანობას, ხშირად გამოდიოდეს ოს მწერალთა შემოქმედების პრინციპული ანალიზით. მაგრამ ასე როდი ხდება. აღნიშნული განყოფილებისა და ცალკეულ მწერალთა მუშაობა კი მრავალი არსებითი ნაკლით ხასიათდება. განყოფილების გამგეობა ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მწერალთა იდეური აღზრდისა და შემოქმედებითი ზრდის საკითხებს. არ იგრძნობა ცოცხალი, მიზანსწრაფული მუშაობა ავტორებთან, არ ეწყობა შეხვედრები თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მომუშავე მწერლებთან. ოს მწერალთა შემოქმედებაში სათანადო ადგილი არ უჭირავს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე ჩვენი პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, მწერლები ახლოს არ იცნობენ სოფლის მეურნეობას, კვლავ ჩამორჩენილ დარგებს წარმოადგენენ ოსური პროზა და დრამატურგია.

ამ ნაკლოვანებებზე ამას წინათ ლაპარაკი იყო მწერალთა კავშირის საოლქო განყოფილების პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც. პარტიული კრების ანგარიშში, რომელიც 5 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა, გაზეთი წერდა, რომ

„უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ოს დრამატურგებს არ დაუწერიათ არც ერთი პიესა თანამედროვე თემაზე. განყოფილების გამგეობა ძალიან სუსტად მუშაობს დრამატურგებთან, არ ეხმარება მათ მაღალხარისხოვანი, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის მუშაობის შესახებ არც ერთი წერილი არ დაბეჭდილა.

გაზეთი მხედველობიდან უშვებს იმას, რომ ოლქის შემოქმედებითის ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული კრიტიკა და თვითკრიტიკა. სწორედ ამის შედეგია იდეოლოგიური შეცდომები ზოგიერთი შემოქმედი მუშაკის საქმიანობაში. „საბჭოთა ოსეთის“ ამოცანაა ხშირად გამოვიდეს ოლქის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის შეფასებით, არა მარტო მოუთითოს შეცდომებზე, არამედ კიდევაც დაეხმაროს მათ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

როგორც რედაქციის მუშაკები აცხადებენ, მათს მუშაობას ართულებს ის მდგომარეობა, რომ შტატი არა ჰყავთ მთარგმნელი. გაზეთის მუშაობის ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ მის ირგვლივ შემოკრებილი არ არის ადგილობრივ ავტორთა აქტივის საუკეთესო ძალები, რომელზე დაყრდნობითაც იგი შეძლებდა დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებას.

გაზეთის ამოცანაა მეტი პასუხისმგებლობა, ინიციატივა და ოპერატიულობა გამოიჩინოს შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის გაშუქებაში, შემოქმედების და დაიახლოოს ავტორთა აქტივი, ღრმად ჩასწვდეს ოსი მწერლების, მეცნიერი მუშაკების, მსახიობების, მხატვრების, კომპოზიტორების ცხოვრებას და მუშაობას, საფუძვლიანად და საქმის ცოდნით გაშუქოს იგი.

მოკრავი გამოფენა

აფხაზეთის დ. გულიას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ამ დღეებში მოაწყო მოძრავი გამოფენა, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებისადმი. გამოფენის ჩვენებისას ეწყობა კვალიფიციური ლექციები, რომლებსაც კითხულობენ სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკები.

მოძრავი გამოფენა უკვე უჩვენეს სოხუმის, გულრიფშის და გალის რაიონებში.

ნ. მიქაშავიძე.

დავეუფლოთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ხელოვნებას

პარტიული განათლების სისტემაში ნებაყოფლობითი პრინციპის დანერგვამ მთელი პროპაგანდისტული მუშაობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. წელს საგრძნობლად გაიზარდა იმ კომუნისტების რიცხვი, რომლებიც თავიანთ იდეურ-თეორიულ დონეს იმაღლებენ პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად კითხვით. ამ ნაკადი მეთოდით სწავლობენ მარქსიზმის კლასიკოსების შრომებს, უმჯობესდებიან პარტიული დოკუმენტებს, პარტიის ისტორიის მოკლე კურსს და „პოლიტსკოლის მსმენელთა დასახმარებლად“ გამოშვებულ წიგნს. ბევრმა კომუნისტმა წელს პირველად დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა წიგნზე. გამოცდილება ცხადყოფს, რომ მეცადინეობაში წარუმატებლობას უმეტეს შემთხვევაში ის იწვევს, რომ ზოგიერთი მათგანი კარგად არ არის დაუფლებული წიგნზე მუშაობის ხელოვნებას და პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ღრმად შესწავლის ნაცვლად სჯერდება საკომენტარო ბროშურების კითხვას. ცხადია, ამით ის ვერ იღებს ღრმა პოლიტიკურ ცოდნას. საჭიროა ასეთ კომუნისტებს დავეხმაროთ, მოვაწყოთ მათთვის მეთოდური საუბრები, შევასწავლოთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა.

წიგნის კითხვა ჩვენს ქვეყანაში ყველამ იცის, მაგრამ ყველამ როდი იცის ისეთი კითხვა, რომ წიგნმა იმის მაქსიმუმი მისცეს, რის მოცემაც მას შეუძლია. ზოგიერთი ღრმად არ უფიქრდება წაკითხულს, მიაჩნია, რომ წიგნის შესწავლა ნიშნავს მისი გვერდების დამახსოვრებას, არ უკავშირებს პრაქტიკას, ცხოვრების რეალურ ფაქტებს. ცხადია, ასეთ „სწავლას“ ცოდნის შეძენასთან საერთო არა აქვს რა. „ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით“... (თხზ., ტ. 31, გვ. 344).

ამ მითითებით უნდა იხელმძღვანელონ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებმა. მასალის შესწავლა მათ მტკიცედ უნდა დაუკავშირონ იმ „ძირითად ფაქტებს“, რომლებიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარა ან ხდება, დაუკავშირონ პარტიის წინაშე მდგომ საბრძოლო ამოცანებს. ეს მათ თავიდან აიცილებს მასალის ზერელე, სქოლასტიკური შესწავლის საფრთხეს.

მარქსიზმის კლასიკოსთა ბიოგრაფიებში არის იმის მრავალი მკაფიო მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ წიგნზე, როგორ დავიწყოთ ეს საქმე და როგორ წარვმართოთ იგი.

წიგნზე მუშაობა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა ყოველდღიური რეჟიმის შემუშავებას ისე, რომ სამეცადინო საათები მტკიცედ განისაზღვრის. ცნობილია, რომ მარქსიზმის კლასიკოსებმა ახალგაზრდობის წლებიდანვე შეიმუშავეს თავიანთ სამუშაოთა დაგეგმვის ჩვევა. ისინი თვითონ აწესებდნენ ყოველი სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ვადებს და მტკიცედ იცავდნენ მათ. საკუთარი თავისადმი ასეთი მომთხოვნელობა, მუშაობაში თანმიმდევრობისა და სისტემატურობის დაცვა საფუძველად უნდა დაედოს წიგნზე მუშაობას.

წიგნის კითხვის დროს საჭიროა სხვა რამეზე არ გადავიტანოთ ყურადღება, ხელს არ უნდა გვაშლიდეს „დაუმთავრებელი“ საქმეები, გარეშე ამბები, ვფიქრობდეთ მხოლოდ იმაზე, რაზეც ლაპარაკია მოცემულ მასალაში.

წიგნზე მუშაობისას აუცილებელია ჩანაწერების გაკეთება. სანამ ჩაწერას შეუდგებოდეთ, უნდა მოვიმარაგოთ ყოველივე, რაც საჭიროა მეცადინეობის წარმატებისათვის. ხშირად აუცილებელია გვქონდეს რუკები, რადგან ფაქტიური მასალის დამახსოვრებას დიდად უწყობს ხელს იმ ადგილის ცოდნა, სადაც ესა თუ ის ამბავი ხდება. კომუნისტური პარტიის ისტორიის მოკლე კურსისა და პოლიტსკოლის მსმენელთა დასახმარებლად გამოცემული სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად შემსწავლელთ დიდ დახმარებას გაუწევს პარტიის ისტორიის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ არსებული თვალსაჩინო საშუალებანი (დიაგრამები, ფოტოსურათები, სქემები, სურათების რეპროდუქციები და ა. შ.).

წაკითხული წიგნებიდან საჭიროა ჩაიწეროთ უმთავრესი დებულებები, დასკვნები, ძირითადი ფაქტები. ჩაწერა გვეხმარება საკითხის სწორად გააზრებასა და დამახსოვრებაში. ნ. კ. კრუპსკაია მოგვითხრობს, რომ „ლენინი არ ეყრდნობოდა საკუთარ მეხსიერებას, თუმცა მას შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა. იგი არასდროს არ გადმოსცემდა ფაქტებს ზეპირად, „დაახლოებით“. ფაქტებს იგი გადმოსცემდა უდიდესი სიზუსტით. იგი ეცნობოდა უამრავ მასალას... მაგრამ იმას, რის დამახსოვრებაც სურდა, რვეულში იწერდა“. ჩაწერა წიგნის ღრმად შესწავლის აუცილებელი პირობაა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩაწერა — იქნება ეს კონსპექტი, გეგმა, თეზისი თუ სხვა, მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა წიგნი ყურაღღებით არის წაკითხული და ყველა მისი დებულება სწორად არის გაგებული: ზოგიერთი ამხანაგი წაიკითხავს თუ არა წიგნის ბირველ ცნებაცს, მაშინვე შეუდგება წერას. ასეთ ამხანაგს, თუ მან ეს „სამუშაო“ ბოლომდე მიიყვანა, ჩანაწერი შესასწავლ წიგნზე მეტი გამოუდის და ხშირად წიგნში გარჩეული არც ერთი საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი არა აქვს. ცხადია, ასეთ ჩანაწერს არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

ჩაწერის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კონსპექტი. კონსპექტი არის ამა თუ იმ წიგნის ან სტატიის შინაარსის მოკლე გადმოცემა. კონსპექტს ამისათვის ვადგენთ, რომ იგი ხელს გვიწყობს ღრმად ჩაწვდეთ, დაფუკვირდეთ წიგნში დასასტებულ დებულებებს, დაემახსოვროთ ისინი, ამასთან გვაჩვევს ნაწარმოების შინაარსის დამუკიდებლად გადმოცემას. კარგად შედგენილი კონსპექტი საშუალებას გვაძლევს ისე აღვადგინოთ მეხსიერებაში წაკითხული მასალა, რომ მისი ხელმეორედ წაკითხვა არ დაგჭირდეს.

ყველა კონსპექტი ერთნაირი არ შეიძლება იყოს. იმის მიხედვით, თუ როგორია წიგნზე მომუშავის მომზადება, კონსპექტი შედარებით ვრცელი ან მოკლეა. ზოგი კონსპექტში ძირითად საკითხებთან ერთად ჩასწერს არა ძირითადს, ფაქტიურ მასალებსაც. ზოგი მხოლოდ ძირითადი საკითხებით კმაყოფილდება, გულისხმობს, რომ სხვა მან უკვე იცის. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს კონსპექტი, მან სწორად და სრულად უნდა ასახოს წიგნის შინაარსი. კონსპექტი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „კონსპექტში ცალკეულ ფრაზებსა და ცალკეულ სიტყვებსაც კი შეუდარებლად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დაწერილებითსა და ვრცელს გადმოცემაში“ (თხზ., ტ. 4, გვ. 49-50).

უსაოგებლო, ფუჭი მუშაობაა წიგნის ტექსტის განუკითხავი გადმოწერა, მაგრამ არც წიგნის ტექსტისაგან მეტისმეტი დაცილებაა მიზანშეწონილი. ხშირია შემთხვევა, როცა კონსპექტს „თავისუფალი“ წესით ადგენენ. ეს ისეთი კონსპექტია, რომელშიც მარქსიზმ-ლენინიზმის ცნობილი დებულებები გადმოცემულია „თავისი სიტყვებით“. ასეთ კონსპექტს შეუძლია სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანოს სათანადოდ მოუმზადებელი მკითხველი. კონსპექტის შემდგენი კარგად მოიქცევა, თუ ავტორის სიტყვებით ჩაიწერს წიგნის ძირითად თეორიულ დებულებებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ნათელ დახასიათებებს. კონსპექტის შემდგენს, რასაკვირველია, შეუძლია თავისი სიტყვებით გამოთქვას წიგნის ავტორის ესა თუ ის აზრი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არ დაამახინჯოს იგი. მარქსიზმის კლასიკოსების მიერ შედგენილ კონსპექტებში იდეალურად არის შესამჩნევი ეს ორი მოთხოვნა — წიგნთან სიახლოვე და საკუთარი სიტყვებით ავტორის აზრის გადმოცემა. ასეთებია: ფ. ენგელსის კონსპექტი კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომის პირველ ოთხ თავზე (არის ქართული თარგმანი), ვ. ი. ლენინის კონსპექტები — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომაზე „წმინდა ოჯახი“ (შეტანილია ლენინის XII კრებულში და „ფილოსოფიურ რვეულებში“), ფ. ენგელსის სტატიაზე „შეიძლება თუ არა ევროპის განიარაღება?“ (შესულია ვ. ი. ლენინის წიგნში „რევოლუცია იმპერიალიზმის შესახებ“) და სხვები.

მარქსიკაში დიდი გავრცელება აქვს რეფერატს. ეს ჩაწერის ისეთი სახეა, რომელიც შედგენილია რამდენიმე წიგნის გამოყენებით. რეფერატის მიზანს ერთი რომელიმე საკითხის, თემის ღრმად შესწავლა შეადგენს. რეფერატი მას შემდეგ უნდა შედგეს, რაც თემის გარშემო არსებული ყველა წყარო შესწავლილია. რეფერატის შედგენა გაადვილდება, თუ ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებ არსებულ წყაროებს კარგად ვიცნობთ და მათზე ცალ-ცალკე გვაქვს შედგენილი კონსპექტი. ასეთ შემთხვევაში კონსპექტებში მოვძებნით საერთო ადგილებს და მათ გამოვიყენებთ იმ საჭიროების მიხედვით, რასაც შესასწავლი თემა მოითხოვს.

რეფერატში შეიძლება შეგიტანოთ წიგნის ძირითადი იდეები, დასკვნები. დებულებები, მათი დამამტკიცებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტები, თარიღები, ციფრობრივი მონაცემები, ადგილები მხატვრული ლიტერატურიდან. სასურველია ცალკეულ გვერდებზე დავიტოვოთ თავისუფალი არე ჯერ კიდევ მთლიანად შეუსწავლელი კითხვებისათვის, რომელთა პასუხი სხვა წიგნებში, ჟურნალებში ან გაზეთებში უნდა მოიძებნოს.

წიგნზე მუშაობის ძირითადი მიზანი ის არის, რომ მან მკითხველს შესძინოს ცოდნა, ამა თუ იმ საკითხისადმი დამოუკიდებლად მიდგომის უნარი. ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნის შესწავლის შემდეგ მკითხველმა დარწმუნებით იცოდეს მისთვის საინტერესო საკითხი და შეეძლოს სხვებიც დაარწმუნოს მის სისწორეში. „უმთავრესი კი ის არის, — ამბობდა ვ. ი. ლენინი თავის ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ“, — რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა... შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოუკიდებელი მიდგომისა... მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ საკითხში, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალო

სარედაქციო ფოსტიდან

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისაგან რედაქციამ გასულ კვირას 250 წერილი მიიღო. წერილების ნაწილი მზადდება გაზეთში გამოსაქვეყნებლად, ნაწილი ზომების მისაღებად ეგზავნება პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს.

რედაქციის ფოსტა მრავალფეროვანია. საინტერესო წერილი გამოგზავნა ინჟინერ-მექანიზატორმა ა. რუხაძემ, რომელიც წერს კვანძური მეთოდით ტრაქტორების რემონტის შესახებ. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ზვიადაძე თავის წერილში ეხება, თუ რა იფერხებს აბრეშუმის მქსოველებს შორის შრომის ნაყოფიერების ზრდას. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი კ. ქუთათელაძე წერს ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების ზოგიერთი საკითხის შესახებ.

მშრომელები გვწერენ საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობაზე, იტყობინებიან ვაჭრობის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ბინების რემონტის შესახებ.

რედაქციაში შემოსულ სიგნალებთან დაკავშირებით უკანასკნელ შვიდ დღეში ორგანიზაციებისაგან მიღებულია 120 პასუხი.

საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის

ჩაი ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყაროა. წელს ამ კულტურით ოთხ მილიონ ნახევარამდე შემოსავალი მივიღეთ. ამიტომ არის, რომ კოლმეურნეები საუკეთესოდ უვლიან თვითეულ ბუჩქს, დროულად და აგროწესების დაცვით ასრულებენ ყველა სამუშაოს. შედეგიც ჩინებულია, ჩაის კრეფის სახელმწიფო დავალება დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული. გასულ წელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 200 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობის გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. ხშირად უშუალოდ პლანტაციებში კოლმეურნეებთან ვაწყობთ საუბრებს რაიონის ჩაის უხვი მოსავლის ოსტატების — სოციალისტური შრომის გმირების დ. ტაკიძის, ე. მგელაძის, ზ. ბაჯელიძის მდიდარი გამოცდილების შესახებ. ამან კარგი შედეგი გამოიღო. მაგალითის ძალა დიდი ძალაა. კოლმეურნეებმა ნ. მამეიშვილმა, ნ. მგელაძემ, ქ. ცეცხლაძე, კ. სალუქვაძემ, ე. აბაშიძემ, ე. ნიკოლაოშვილმა მოსავლელად მიჩენილ ნახევარი ჰექტარი პლანტაციიდან შარშან თვითეულმა 1.500-1.800 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, წელს კი თვითეულ მათგანს 4.000 კილოგრამზე მეტი ჩაი აქვს ჩაბარებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ შარშან 50 მეჩაიე ვერ ასრულებდა კრეფის დღიურ ნორმებს, წელს ასეთი შენთხვევა აღარ იყო.

შარშან 26 კოლმეურნეს შრომადღის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია. წელს უფრო ორგანიზებულად მოვაწყეთ შრომა, არა გვყავს ისეთი კოლმეურნე, რომელიც თავს არიდებდეს კოლმეურნეობაში მუშაობას.

ჩაის კრეფაში დაწინაურდა გ. ჭელიძის ბრიგადა, რომლის ფულადმა შემოსავალმა მილიონ მანეთს გადაჭარბა. კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ვ. კვაჭაძის ბრიგადას, რომელმაც კრეფის წლიური გეგმა 105 პროცენტით შეასრულა.

კოლმეურნეებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს გეგმის გადამეტებით 10 ტონა ნედლეულის დამზადება. ეს ვალდებულება მათ გაანაღდეს.

ჩვენი წარმატებანი საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე უფრო მეტი იქნებოდა, ჩაის მეურნეობაში ფართოდ რომ იყოს დანერგილი მექანიზაცია. წელს პირველად დავანუშავეთ მექანიზებულად 80 ჰექტარი პლანტაცია. აქედან გაცილებით მეტი მოსავალი მივიღეთ, ვიდრე ხელით დამუშავებისას. პლანტაციების ძირითადი მასივი ვაკე ადგილებზეა გაშენებული, რაც შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ განხორციელების ყველა პირობას ქმნის. ყოველივე ეს დიდად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად ამაღლებას, მოსავლიანობის ჩქარეთრად გაღიდებას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა დაგვეხმაროს ამ საკითხის წარმატებით გადაჭრაში.

აგროზოოტექნიკური სამწლიანი კურსები 40-მდე კოლმეურნემ დაამთავრა. ეს კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. ჩვენ 330 კოლმეურნე გვყავს, მათს უმეტესობას შეუძლია კარგად შეითვისოს ამ კურსების საპროგრამო მასალები. კოლმეურნეები დიდ ინტერესს იჩენენ მოწინავე აგროტექნიკის საფუძვლიანად დაუფლებისადმი. საჭიროა ამ საქმეში მტს-მა კოლმეურნეობას ქმედითი დახმარება გაუწიოს.

საზოგადოებრივი ნეცხოველეობა ჩვენთან წლების მანძილზე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ მეცხოველეობის განვითარებას ნეტი ყურადღება მიექცა. შევიძინეთ ჯიშიანი პირუტყვი, გაიზარდა წველადობის მაჩვენებლები, მაგრამ სახარბიელო მდგომარეობა მაინც არა გვაქვს. მალე დამთავრდება მეცხოველეობის ფერმისათვის ახალი შენობის აგება. განზრახულია განხორციელდეს ფერმაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ეს საქმეში სათანადო გამოცდილება არა გვაქვს. საჭიროა მტს-მა მეტი დახმარება გაგიწიოს.

სასოფლო-სამეურნეო წელი მთავრდება. ამოცანა ის არის, რომ საზოგადოებრივი ფონდების გამოყოფის შემდეგ მოვაწყოთ ნოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილება, უზრუნველვყოთ შრომის დამატებითი ანაზღაურების ზუსტად განხორციელება. ეს მოითხოვს კოლმეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდგომ გაუმჯობესებას. ამ საკითხსაც ჯეროვან ყურადღებას მიექცევთ და ყველაფერს გავაკეთებთ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

დ. მდინარაძე,
მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ზამთრისათვის მზადებას — მეტი ყურადღება

ტყიბულში მკაცრი ზამთარი იცის, ამიტომ ზამთრისათვის საწარმოების ყოველმხრივ მომზადება, ამ პერიოდში ქვანახშირის შეუფერხებელი ამოღება და გაგზავნა, შახტების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა მათი ხელმძღვანელების უპირველესი მოვალეობაა.

ზამთრისათვის მზადებას ტყიბულში კარგა ხანია შეუდგნენ. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიის ტყიბულის რაიკომის პლენუმი.

ზამთრისათვის კარგად ემზადებიან ლენინის სახელობის, სტალინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის შახტები. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ერავალი ნაკლია.

ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა ქვანახშირის გამაუხვებელ ფაბრიკაში. ორი წელიწადია, რაც ფაბრიკის მთავარი კორპუსის გარე ფასადის შელესვა მიმდინარეობს, მაგრამ ეს სამუშაო დღემდე სანახევროდაც არ არის დამთავრებული. ამ საქმეს გულგრილად ეკიდება ტყიბულშახტმშენის ტრესტის ის სამშენებლო სამმართველო, რომელსაც ამხ. გ. არზამასოვი ხელმძღვანელობს.

ფაბრიკის საწარმოს შენობაში დღემდე არ დაუწყიათ ორთქლით გათბობის ოწყობილობების გამართვა, რაც აუცილებელია ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის. არ დაუწყიათ აგრეთვე ფაბრიკის ტერიტორიაზე არსებული ორთქლგამტარი მილების შეკეთება. ფაბრიკასთან მოწყობილი ამბანო ცუდად მუშაობს და ეს მუშათა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამ სამუშაოს გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვის სანტექსპეცმონტაჟის ხელმძღვანელობას (უფროსი ს. ბასილაია).

ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის ტერიტორიიდან ტექნიკური წყლის საქაჩავ ტუმბოებამდე ხიდი უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ მისი მშენებლობა დაწყებულიც არ არის. ასევე არ დაუწყიათ ფაბრიკის ტერიტორიაზე გზის შეკეთება, შლამის გაზიდვა და ა. შ.

სტალინის სახელობის შახტის საკარიერო მეურნეობაზე მანქანა-დანადგარებისათვის დღემდე არ მოუმარაგებიათ საწვავ-საპოხი მასალები. არ უფიქრიათ ზამთრისათვის ე. წ. ინერტული მასალის მარაგის შექმნაზე. ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტებში დღემდე არ არის შექმნილი სამაგრი მასალის მარაგი.

სტალინის სახელობის შახტის საბინაო-კომუნალური განყოფილება (უფროსი გ. ჭელიშვილი) ვერ ითვისებს ბინების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გათვალისწინებულ თანხებს. საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს ლენინის სახელობის შახტის საბინაო-კომუნალურ განყოფილებასაც.

ზამთრისათვის სუსტად ემზადებიან სამშენებლო ორგანიზაციებიც. ტყიბულშახტმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს ჯერ კიდევ არ მოუმარაგებია ისეთი არადეფიციტური საშენი მასალებიც კი, როგორიც არის ქვა, აგური, ხრეში და ა. შ.

ზამთარი ახლოვდება. ეს ავალებს საწარმოთა ხელმძღვანელებს გადაჭრით გააძლიერონ ზამთრისათვის მზადება, მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ზამთრის რთულ პირობებში ტყიბულელმა მეშახტეებმა და მშენებლებმა იმუშაონ სრული დატვირთვით, რიტმულად, შეუფერხებლად.

ს. მერკვილაძე,
ვ. დოლონაძე.

მშრომელებს — მაღალხარისხოვანი საქონელი

ვაჭრობის მუშაკებმა უნდა შეავისწავლოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი იმ ანგარიშით, რომ გაფართოვდეს სახალხო მოხმარების საგნების წარმოება საჭირო ასორტიმენტით.

ამ ამოცანის შესრულებაში საქტანსაცმლის № 17 მაღაზიის მუშაკებს ერთგვარი წვლილი შეაქვთ. მაღაზია მზა პროდუქციით ვაჭრობს. მისი წლიური გეგმა 18 მილიონ მანეთს აღწევს, 10 თვის გეგმა 111 პროცენტით აქვს შესრულებული.

წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, ფომწოდებელი ფაბრიკები ჩვენს დაკვეთებს სეზონის მიხედვით ხარისხიანად, დროულად რომ ასრულებდნენ. ჩვენს მაღაზიას პირველი, მეექვსე და მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკები ამარაგებენ. ისინი არათუ არ იცავენ ჩვენს მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, არამედ ზოგჯერ უხარისხო პროდუქციასაც გვაწვდიან. ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ფაბრიკებმა ტანსაცმელი სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ზომების მიხედვით შეკერონ. მაგალითად, 13 ოქტომბერს № 1 სამკერვალო ფაბრიკამ მაღაზიას მხოლოდ ერთი ზომის (50) შეკერილი კაბები და ქალის პალტოები მიაწოდა, ისიც სულ შავი ფერისა. ამ საქონლის რეალიზაცია და მომხმარებელთა დაკმაყოფილება მაღაზიისათვის არც ისე ადვილია.

წუნდებული პროდუქციის მოწოდებისათვის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკა 17 ათასი მანეთით დაჯარიმდა, მეშვიდე—10 ათასით და პირველი—6 ათასი მანეთით. მიუხედავად ამისა, სამკერვალო ფაბრიკებმა კერვის ხარისხი

მკვეთრად მაინც ვერ გააუმჯობესეს. ამას ისიც მოწმობს, რომ მაღაზიასთან არსებული სამკერვალო სამაქრო შეკერილი ტანსაცმლის გადაკეთების გამო მეტად დატვირთულია. დაბალხარისხოვანი პროდუქციისათვის მომხმარებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ სამკერვალო ფაბრიკები რატომღაც ამას არ ითვალისწინებენ.

ამ მდგომარეობას საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

შ. სიხარულიძე,
საქტანსაცმლის № 17 მაღაზიის დირექტორი.

დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

წელს ექსკურსიაზე ვიყავი მოსკოვში და შესაძლებლობა მომეცა დაწვრილებით გავცნობოდი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავლისმეტყველ სტენდებსა და ექსპონატებს, რომლებმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

გამოფენამ დამარწმუნა, რომ ახალციხის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში ჯერ კიდევ ყველა არსებული შესაძლებლობა არ არის მთლიანად გამოყენებული. გამოფენაზე ვნახეთ, რომ უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 33 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობას კი ჰექტარზე მხოლოდ 10 ცენტნერი პურეული მოჰყავს. ეს იმიტომ, რომ აქ თესვის ვადებს არ იცავენ, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელებას შეუფასებლობას იჩენენ.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს მეხილეობის განვითარების დიდი შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ ყველა პირობას როდი იყენებენ. მიჩურინის ბაღში გავეცანი ხილის უხვი მოსავლის ოსტატების მდიდარ გამოცდილებას. აქ ვნახე ისეთი კოლმეურნეობები და ცალკე ნოვატორები, რომლებიც ყოველწლიურად ხილის უხვ მოსავლიანობას აღწევენ. როგორ ახერხებენ ყოველწლიურად ხილის მაღალი მოსავლის მიღებას? უწინარეს ყოვლისა, ხეხილის ბაღების საუცხოო მოვლით. ჩვენს რაიონში მეხილეობის განვითარების დიდი პერსპექტივაა. პარტიული ორგანიზაცია მოვალეა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი გამოფენის მონაწილეთა შესანიშნავი გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

კოლმეურნეობებში პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. კოლმეურნეობებს დიდი რაოდენობით არა ჰყავთ მაღალპროდუქტიული ჯიშიანი პირუტყვი. ადგილობრივი ძროხები კი ცოტას იწველიან. ჩვენს ჰავას კარგად ეგუებიან შვიცის ჯიშის მაღალპროდუქტიული ძროხები. განა არ შეიძლება ასეთი ძროხები შევიძინოთ და გავამრავლოთ რაიონში?

მეცხოველეობის პავილიონში ვნახე კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „XII ოქტომბრის“ ფერმა, სადაც საკვების შემზადება და ძროხის წველა მექანიზებულია. ჩვენი რაიონის კოლმეურნეობების ფერმებში ფართოდ უნდა დავნერგოთ ეს გამოცდილება, შევქმნათ საკვების მტკიცე ბაზა და დაუღალავად ვიბრძოლოთ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ა. მექვაბიშვილი,
საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მტს-ის ზონის ინსტრუქტორი.

რუისპირის საავადმყოფოს მშენებლობა უნდა განახლდეს

რუისპირი თელავის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია. აქ 800-მდე კომლი ცხოვრობს. ოთხი წლის წინათ რუისპირში საავადმყოფოს მშენებლობა დაიწყო. გათვალისწინებული იყო მოწყობილიყო საავადმყოფო ოცი საწოლით, სამშობიარო განყოფილება, სტომატოლოგიური კაბინეტი, აფთიაქი და სხვ.

მშენებლობა 1952 წელს უნდა დამთავრებულიყო. მოკლე ხანში პირველი სართულის კედლები ამოიყვანეს, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან განკარგულება მოვიდა, „მშენებლობა შეაჩერეთო“. სახელმწიფოსაგან მიღებული 44 ათასი მანეთის ხე-ტყე, აგური, ლურსმანი, ფანჯრის მინა და სხვა საშენი მასალა თელავის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ კოლმეურნეობას გადასცა, „მოთხოვნამდე შეგვინახეთო“.

გადის დღეები, თვეები, წლები და მიბარებულ საშენ მასალებს აღარავინ თხოულობს. კოლმეურნეობის გამგეობამ, რაიონული საბჭოს აღმასკომმა ბევრჯერ დააყენეს საკითხი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე, რომ რუისპირში საავადმყოფოს მშენებლობა განახლებულიყო, მაგრამ ამაოდ, ჯერ შედეგი არა ჩანს.

ნახევრადაშენებული საავადმყოფოს შენობა ინგრევა, კოჭების დიდი ნაწილი დალპა. ამრიგად, მშენებლობაზე დახარჯული 125 ათასი მანეთი წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. ეს ხდება მაშინ, როცა რუისპირის სოფლის ამბულატორია მოთავსებულია ერთ პატარა დაქირავებულ ოთახში. ექიმს ავადმყოფის გასინჯვის საშუალება არა აქვს. აფთიაქის გახსნა უნდათ, მაგრამ უბინაობის გამო ვერ მოუხერხებიათ.

საჭიროა რუისპირის მცხოვრებთა სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და საავადმყოფოს მშენებლობა განახლდეს. ეს საქმე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა ითავოს.

ნინო ხუციშვილი,
რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავის“ მერგოლური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ვანის რაიონის სოფელ საპრასის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. პირველაშვილი საკოლმეურნეო ქონებას ანიავებს, კოლმეურნეობაში მთელი რიგი დამახინჯებებია, სწერდა რედაქციას სოფლური ვანის რაიონიდან.

რედაქციამ წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომს გადაუგზავნა. როგორც რაიკომი გვატყობინებს, ბიუროს განხილა კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობა. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რჩევა მიეცა მოხსნას შ. პირველაშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. დასახულია ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით შ. პირველაშვილი მოხსნილია სამუშაოდან.

როდემდის გასტანს ასე?

უკვე რამდენიმე თვეა დაიწყო ბარნოვის ქუჩის ერთი ნაწილის (№ 74-94) კეთილმოწყობა. ქუჩა გადათხარეს, დადგა ნაყარი მიწის გორები. წვიმიან ამინდში გავლა შეუძლებელია.

უფრო მეტიც. ამოღებულ ორმოებში ნაგავს ყრიან. ეს ორმოები ანტისა-

ნიტარიის ბუდედ გადაიქცა. ყურადღებას არავინ არ აქცევს, რომ ქუჩის კეთილმოწყობა დროულად დასრულდეს.

ახლოვდება ზამთარი, მდგომარეობა კი უცვლელია. საინტერესოა როდემდის გასტანს ასე?

მობინადრენი: ა. ხაბეიშვილი, ა. ჭოტაძე, ი. ჩიხლაძე, თ. ჭავჭანიძე.

მეტი ყურადღება საგაზეთო ვიტრინებს

ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელია კურორტ წყალტუბოში. წელს დამსვენებელთა რიცხვი 50 ათასს გადააჭარბებს.

სამედიცინო მომსახურებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამსვენებლების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. დამსვენებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ წყალტუბოში საკმაო ყურადღება არ ექცევა საგაზეთო ვიტრინებს. კურორტის ცენტრში მოწყობილია მხოლოდ ერთი საგაზეთო ვიტრინა, რომელიც მოძველებულ ჩარჩოშია მოთავსებული. ამასთან იქ გამოფენილია მხოლოდ ორი გაზეთი.

საკავშირო პროფსაბჭოს № 1 სანატორიუმში, რომელშიც ერთდროულად ხუთასზე მეტი მშრომელი ისვენებს, მოწყობილი არ არის საგაზეთო ვიტრინა. ასევე ითქმის ბავშვთა სანატორიუმის, სასტუმრო „თბილისის“, № 5, № 6 აბაზანებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა შესახებ.

რკინიგზელთა სანატორიუმში, მართალია, მოწყობილია საგაზეთო ვიტრინა, მაგრამ ძალიან აგვიანებენ ახალი გაზეთის გამოკვრას.

საჭიროა წყალტუბოს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ საგაზეთო ვიტრინებს.

დამსვენებელი ა. ფერაძე.

გულისხმიერად მოვეკიდოთ კრიტიკულ შენიშვნებს

ის, რასაც მშრომელის განცხადება, საჩივარი ან სიგნალი შეიცავს, მეტად საყურადღებოა.

ყოველი საბჭოთა ადამიანი მოწოდებულია იბრძოდეს თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების წინააღმდეგ. მშრომელების მიერ რედაქციაში ასობით გამოგზავნილ წერილსა და სიგნალში გამოხატულებას პოულობს საერთოსახალხო საქმისადმი ღრმა სიყვარული, ნაკლოვანებებისადმი, დანაშაულებრივი მოქმედებისადმი შეურიგებლობა.

მთელი რიგი რაიონების ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები გულისხმიერად, პასუხისმგებლობით სწავლობენ რედაქციიდან გადაგზავნილ განცხადებებს, სიგნალებს, საჭირო დასკვნები გამოაქვთ მათი შენიშვნებიდან, სახავენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტულ გზებს.

ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდვანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული უმსგავსობა და ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომმა დროულად და საფუძვლიანად შეისწავლა წერილში მოყვანილი ფაქტები. იმის გამო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. რამიშვილი საჭირო ზომებს არ იღებდა არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, წაუყრუებდა საკოლმეურნეო ქონების დატაცების ფაქტებს, პარტიის რაიკომის ბიურომ მას პარტიული სასჯელი დაადო, ამავე დროს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რჩევა მისცა მოხსნას იგი თავმჯდომარეობიდან. კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. რამიშვილი, რომელიც ქურდულად, უნებართვოდ ჩეხდა საკოლმეურნეო ტყეებს, მოხსნილია სამუშაოდან. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობაში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მკითხველი ნ. ცინცაძე გვატყობინებდა, რომ მესტიის რაიონის სოფელ წვირმის კოლმეურნეობაში ირღვევა შრომის დისციპლინა, დაბალ დონეზეა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კომუნისტ კ. მუკვანს და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს შ. ფანგანს მოუქნელი მუშაობისათვის პარტიული სასჯელი დაადო.

— შეიძლება?

— ნუ მეკითხებით...

— ექიმო, მიშველე ავადმყოფობამ შემაწუხა!

— ჯერჯერობით არა მცალია, — უკმეხად უპასუხა ქლუხორის რაიონის ექიმმა-სტომატოლოგმა მ. ჩაფიჩაძემ ავადმყოფ ი. ნიკურაძეს. ასევე უპასუხისმგებლოდ მოექცა ექიმი მასთან სამკურნალოდ მისულ ს. ბუკიას და სხვებს. ავადმყოფებმა თავიანთი გულისწყრომა ჩაწერეს საჩივრის წიგნში, რომლიდანაც არავითარი დასკვნა არ გაკეთებულა რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ჯ. გოგოლაძემ.

უფრო მეტიც. განებივრებული ექიმი მ. ჩაფიჩაძე იქამდე მივიდა, რომ თავხედურად შეეჯარა სხვის ბინაში და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეზობელს. ჩვენი გაზეთის მკითხველის ქ. ჩიტიშვილის მიერ აღწერილი ფაქტები ქლუხორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. აღმასკომმა ექიმი მ. ჩაფიჩაძე დასაჯა და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებანი დასახა.

გაზეთის სიგნალის საფუძველზე მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა სოფელ ნატახტარში რადიოქსელის მუშაობის გასაუმჯობესებლად. რედაქციიდან გაგზავნილი წერილების შესწავლას გულისხმიერად ეკიდებიან ქ. ქუთაისის, თელავის და სხვა რაიონების ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ბევრია ისეთი ფაქტიც, როცა მშრომელთა წერილების შემოწმებას თვეობით აჭიანურებენ და შედეგებს რედაქციას დაგვიანებით უგზავნიან.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი არაფრისმთქმელ, შაბლონურ პასუხს გზავნის: „ნაწილობრივ დადასტურდა“, „მიღებულია საჭირო ზომები“ და სხვ.

ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომი გვწერს, სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის სპორტულ მუშაობაში ჩამორჩენის ფაქტები შემოწმებით დადასტურდაო. შემდეგ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. გიგიბერია დასძენს: „ადგილზე გატარებულია კონკრეტული ღონისძიებანი“. როგორი? გაურკვეველია.

მკითხველი ვ. გოგოძე გვაცნობებდა, რომ სოფელ ზედულეთში ახალგაზრდობა მოკლებულია კულტურულ გართობას, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ყურადღება არ ექცევა. გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თავზარაშვილი ასეთ „პასუხს“ იძლევა: „კორესპონდენციაში აღნიშნული ზოგიერთი ფაქტები დადასტურდა, რომლის გამოსასწორებლადაც ადგილზე დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებები“.

რედაქციასა და მშრომელებს დაგვიანებით უგზავნიან პასუხს ახმეტის, ბორჯომის, გალისა და სხვა რაიონებიდან.

ზოგჯერ რედაქციაში, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში შედის ცილისმწამებლური უსახელო წერილებიც. მაგალითად, ჭიათურის „ყველაკარაქმრეწვის“ საწყობის ყოფილი გამგე შ. ბარათაშვილი თვითონ ფლანგავდა სასურსათო პროდუქტებს, სხვებზე კი გამალებით წერდა ცილისმწამებლურ განცხადებებს, ჩირქს სცხებდა საბჭოთა ადამიანებს. ცილისწამებისათვის შ. ბარათაშვილი საბჭოთა სასამართლომ ღირსეულად დასაჯა.

ყოველთვის და ყველგან ულმობლად უნდა ვეხრძოლოთ ნაკლოვანებებს, თვითდამშვიდებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობას.

მშრომელთა ყოველ კრიტიკულ შენიშვნასა და სიგნალზე დროულად, გულისხმიერად გამოხმაურება ყველა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკის ამოცანაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ პაზივი სცა ა. ი. ვიშინსკის ხსოვნას

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გენერალურმა ასამბლეამ შეწყვიტა თავისი დილის პლენარული სხდომა, რათა პატივი ეცა სსრ კავშირის დელეგაციის გარდაცვლილი მეთაურის ა. ი. ვიშინსკის ხსოვნისათვის. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ვან კლეფენსმა გლოვის ნიშნად შეწყვიტა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა და სამძიმარი გამოუცხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას, საბჭოთა დელეგაციასა და საბჭოთა ხალხს ამ დანაკლისის გამო.

სამედიცინო დასკვნა ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების შესახებ

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). სამედიცინო დასკვნის თანახმად ა. ი. ვიშინსკი გარდაიცვალა გულის კუნთის მწვავე დამბლის შედეგად.

სამძიმარი ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილისა და გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას პირადი სამძიმრის გამოხატვლად ეწვივნ: საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი მენდეს-ფრანსი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის თავმჯდომარე ვან კლეფენსი, აგრეთვე ბელორუსიის სსრ, ბრაზილიის, ბირმის, ეგვიპტის, იემენის, ერაყის, ირანის, ინდოეთის, ინდონეზიის, ლიბანის, მექსიკის, ჰოლანდიის, პერუს, პოლონეთის, ტაილანდის, უკრაინის სსრ, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცის, ეკვადორისა და იუგოსლავიის დელეგაციათა მეთაურები და წარმომადგენლები.

წარმომადგენლობას მოსდის დეპეშები და წერილები, რომლებშიც გამოთქმულია სამძიმარი საბჭოთა მთავრობისა და განსვენებულის ნათესავებისადმი. სამძიმრის დეპეშები გამოგზავნეს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა ლოჯმა, საბერძნეთისა და ლიბანის დელეგაციებმა, აგრეთვე პოლ რობსონმა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პროგრესულმა მოღვაწეებმა.

გარდა ამისა, წარმომადგენლობას კვლავ მოსდის ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების სხვადასხვა. ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მრავალი წერილი და დეპეშა. ამ წერილებსა და დეპეშებში ხაზგასმით აღნიშნულია ა. ი. ვიშინსკის თვალსაჩინო დამსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სამგლოვიარო სხდომა

ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების გამო

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ დღის მეორე ნახევარში გაიმართა სამგლოვიარო პლენარული სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის, გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის გარდაცვალების გამო.

ასამბლეამ ფეხზე დგომით მოისმინა თავმჯდომარე ვან კლეფენსის განცხადება, რომელმაც თქვა:

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გამოვთქვა ღრმა მწუხარება ჩვენი კოლეგის — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ბატონ ვიშინსკის უეცარი გარდაცვალების გამო.

ის, ვისაც უნახავს და მოუსმენია ვიშინსკისათვის ჩვენს სხდომებზე, ვისაც მონაწილეობა მიუღია მასთან კამათში, არასოდეს არ დაივიწყებს მის მახვილ გონებას, მის ოსტატურ არგუმენტაციას, მის ორატორულ ნიჭს, მის მახვილგონიერებას და ირონიას.

ჩვენ ყველას შეგნებული გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირმა დაკარგა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე.

პატივს ვცემთ რა მას, ჩვენც აგრეთვე თანაგრძნობას ვუცხადებთ ვიშინსკის ოჯახს, მის მთავრობას და მის ქვეყანას.

არ დავივიწყებთ ვიშინსკის როგორც ერთ-ერთ ჩვენს ყველაზე ნიჭიერ კოლეგას, და ვგლოვობთ მის გარდაცვალებას.

შემდეგ გამოვიდნენ და საბჭოთა დელეგაციას, საბჭოთა კავშირის მთავრობას და ხალხს თანაგრძნობა გამოუცხადეს სირიის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, ირანის, საბერძნეთის, პოლონეთის, ერაყის, ახალი ზელანდიის, ისრაელის, პაკისტანის, ფილიპინების, ტაილანდის, თურქეთის, ჩეხოსლოვაკიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, ბირმის, ბელორუსიის სსრ, კანადის, ეგვიპტის, იუგოსლავიის, საუდის არაბეთის, ინდონეზიის, უკრაინის სსრ, ლიბერიის, ავღანეთის, ლიბანის, იემენისა და ეთიოპიის წარმომადგენლებმა. ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნის სახელით თანაგრძნობა გამოთქვა ეკვადორის წარმომადგენელმა, სკანდინავიის ქვეყნების დელეგაციების სახელით — დანიის წარმომადგენელმა, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის სახელით — ბელგიის წარმომადგენელმა.

ა. ა. სობოლევმა საბჭოთა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ყველა დელეგაციას, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირმა განიცადა ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

დემოკრატიული განაკის ქვეყნეგის პრესა აქვეყნეგს ვ. მ. მოლოტოვის პასუხს

ვარშავა, 22 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის პასუხს გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

გაზეთი „გლოს პრაცი“ ვ. მ. მოლოტოვის პასუხს აქვეყნებს დიდი სათაურით „ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა მშვიდობის განმტკიცების ერთადერთი გზაა“.

პრაღა, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი უაღრესად თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ვ. მ. მოლოტოვის პასუხს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

გაზეთები პასუხს ათავსებენ დიდი სათაურებით, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხეს და მხარს უჭერენ საბჭოთა წინადადებას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ.

ბუქარესტი, 21 ნოემბერი. (საკდესი). ყველა დღიურადელი გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ვ. მ. მოლოტოვის პასუხს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

ბუდაპეშტი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთი ათავსებს ვ. მ. მოლოტოვის პასუხს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე. „საბად ნეპი“, ბეჭდავს რა პასუხს პირველ გვერდზე, უკეთებს მას სათაურს: „ერთადერთი გზა, რომელიც შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს, ევროპის კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციაა“.

შანხაი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს შანხაის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა სრული ტექსტი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის პასუხისა „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობის ფიცი

ბერლინი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა დღეს პრეზიდენტ ვ. პიკს წარუდგინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, მთავრობისა, რომელიც მან შეადგინა და სახალხო პალატამ დაამტკიცა.

ვ. პიკმა მიიღო ახალი მთავრობის ფიცი და უსურვა მას წარმატებით მუშაობა მთავრობის იმ პროგრამის განხორციელების საქმეში, რომელიც ჩამოაყალიბა პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა სახალხო პალატის სხდომაზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

სტოკჰოლმი, 20 ნოემბერი. (საკდესი). 20 ნოემბრის საღამოს სხდომა გაიხსნა სრულიად ჩრდილოეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილ ს ლიუ ნინ-ის თავმჯდომარეობით.

ბრაზილიის მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა ხოსე და ფროტა მორეირამ წაიკითხა ბრაზილიის დელეგაციის ერთობლივი მოხსენება თემაზე „მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სამხრეთ ამერიკაში ერეზის საშინაო საქმეებში ჩარევის შედეგად“.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ მთელი რიგი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანას აკავშირებენ ჩრდილოეთ-ატლანტიკის კავშირთან და რომ ამ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებულია ორმხრივი შეთანხმებანი. ყველა ეს ხელშეკრულება და შეთანხმება ეწინააღმდეგება ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. ისინი ამ ქვეყნებს აკისრებენ სამხედრო ვალდებულებებს, რომლებიც მიღებულია ხალხების დაუკითხავად და მათი ნების წინააღმდეგ.

ჩვენ ვხედავთ, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, თუ როგორ ხდებიან ლათინური ამერიკის ქვეყნები იმ სამხედრო ბლოკის მონაწილენი, რომელიც კოწყდება ამერიკის შეერთებული შტატების გარშემო და რომელიც ზღუდავს იმ შესაძლებლობებს, რომ ამ ქვეყნებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში. ამ ბლოკის ყველაზე აქტიური ორგანოა „ამერიკის ქვეყნების სამხედრო კომისია“, რომლის მთავარი მიზანია შექმნას „კონტინენტური არმია“. ამრიგად, აშკარაა ლათინური ამერიკის ქვეყნების მილიტარიზაციის პროცესი, რაც განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიხატება მრეწველობის სამხედრო დარგების, უწინარეს ყოვლისა, სტრატეგიული ნედლეულის მოპოვების განვითარებით.

ლათინური ამერიკის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია დისკრიმინაცია და შეზღუდვა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ამ ქვეყნების დიპლომატიურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაში მყარდება სოციალური და პოლიტიკური რეჟიმების განსხვავებისა და შეუთავსებლობის საბაბით. ლათინური ამერიკის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტები მშვიდობიანი დროის ბიუჯეტები როდია. სახსრების დიდი ნაწილი ხმარდება სამხედრო ხარჯებს, რაც წლითიწლობით იზრდება. ბევრი გაზეთი, რადიოსადგური და ინფორმაციის სხვა საშუალებები ემსახურება ომის პროპაგანდას, თუმცა მთელი რიგი ქვეყნების კონსტიტუცია სპეციალურად და კატეგორიულად კრძალავს ამას, როგორც, მაგალითად, ბრაზილიის კონსტიტუცია. სავსებით ნათელია, რომ ლათინურ ამერიკაში აგრესიული საერთაშორისო ძალები აშკარად და უშუალოდ ერეკიან ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

ეს ჩარევა, რომლის საფუძველი ლათინური ამერიკის ხალხთა ჩაგვრა, გარდუვალად იწვევს ამ ქვეყნების სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას; ამ ჩარევის გამო შფოთიერი და მერყეევი ხდება მათი მინაგანი მდგომარეობა. მაგალითად, არგენტინაში მოქმედებს დეკრეტი „შინაომის მდგომარეობის“ შესახებ; გვატემალა, რომელსაც თავს დაესხნენ, ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდა; ბრაზილიაში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს მილიტარისტებმა, რომლებმაც თვითმკვლელობამდე მიიყვანეს რესპუბლიკის პრეზიდენტი; ჩილეში გამოცხადებული საგანგებო წესები, კოსტა-რიკასა და მექსიკაში ახლოვდება სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე.

კარაკასში გაიმართა მე-10 პანამერიკული კონფერენცია, რომელმაც მიიღო რეზოლუცია. ეს რეზოლუცია მიმართულია იმისკენ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებს წაართვან ეროვნული სუვერენიტეტი. კონფერენციამ, მიუხედავად ისეთი ქვეყნების წინააღმდეგობისა, როგორიც არიან გვატემალა, მექსიკა, არგენტინა და ურუგვაი, ზოგიერთ ქვეყანას თავს მოახვია „კონტინენტის დაცვის“ საბაბით სხვა ქვეყნების საქმეებში შეიარაღებული ჩარევის პრინციპი. სწორედ ეს პრინციპი გამოიყენეს გვატემალაში.

მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ასეთ პოლიტიკას დამღუპველი შედეგები მოაქვს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, რომელთა სოფლის მეურნეობა კრიზისს განიცდის, ეროვნული მრეწველობა აწყდება გადაულახავ სიძნელეებს, ცხოვრების ღირებულება იზრდება, ტოდდება გადასახადები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, აღნიშნულია მოხსენებაში, რომ ჩვენ მოწმენი ვართ გარეგან აგრესიისა, რომელსაც რეალური და საგრძნობი ხასიათი აქვს და რომელიც აჩანაგებს ლათინური ამერიკის ქვეყნებს და ფეხქვეშ თელავს მათ ეროვნულ სუვერენიტეტს. როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ლათინურ ამერიკაში ნამდვილი აგრესორები არიან მილიტარისტული ძალები. ისინი უკარნახებენ მას და თავს ახვევენ პოლიტიკას, რომელიც უცხოა [illegible] ეროვნული ინტერესებისა და მშვიდობისათვის.

მოხსენების დასკვნითს ნაწილში ნათქვამია, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაჩაღებულია ბრძოლა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შესუსტებისათვის, თავისუფალი ვაჭრობისა და კულტურული გაცვლისათვის. ამ ბრძოლამ დიდი გაქანება ჰპოვა და უკვე მოიტანა პირველი შედეგები, კერძოდ, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის მხრივ. პარალელურად მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის. სანტ-იაგოში (ჩილე) გაიმართა თათბირი ლათინური ამერიკის ქვეყნების პარლამენტთა წევრების და მოღვაწეებისა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის წარმომადგენლები არიან. მათ პროტესტი განაცხადეს კარაკასის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებიც შეერთებულ შტატებს „უფლებას აძლევს ჩაერიონ ჩვენი ხალხების პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში“.

ბრაზილიის დელეგაციის ძოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ კოლუმბიელი მწერალი ალვარო ურიბე, მექსიკის ყოფილი საზღვაო მინისტრი გენერალი ერიბერტო ხარა.

შემდეგ თავმჯდომარემ ლიუ ნინ-იმ გამოაცხადა, რომ სესიის სახელმწიფოს წევრილი მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლის პოლ რობსონისა, რომელსაც ამერიკის ხელისუფლებმა უარი უთხრეს პასპორტის მიცემაზე, რომ დასწრებოდა სესიას.

რობსონი წერილში აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული ძალების ბრძოლას მშვიდობისათვის, ლაპარაკობს თავის ამასწინანდელ მოგზაურობაზე ამერიკაში, რომლის დროს იგი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მილიონობით პატიოსანი ამერიკელი ესწრაფვის მშვიდობას.

დასასრულ პოლ რობსონი გამოთქვამს მხურვალე სურვილს, რომ სესიას წარმატება ჰქონდეს თავის მუშაობაში მთელი მსოფლიოს მშვიდობის სასარგებლოდ.

სესიის სხდომაზე ჩაწერეს პოლ რობსონის მოკლე მისასალმებელი სიტყვა და მისი სიმღერა, რომელიც მან უძღვნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიას. მოსმენის დამთავრების შემდეგ დამსწრენი ფეხზე დგებიან და მართავენ მუქარიკ ოვაციას. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს მშვიდობას!“.

შემდეგ სიტყვას ამბობს მწერალი ადალბერტო ორკასი (ეკვადორი) და ჩილის სენატის ვიცე-პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე.

ამის შემდეგ ცხადდება საღამოს სხდომის შეწყვეტა დასასვენებლად.

სტოკჰოლმი, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის დილის სხდომაზე, რომელსაც ფორტეი (ორეგონი) თავმჯდომარეობდა, გამოსვლები მიეძღვნა სხვადასხვა პრობლემებს, რომლებსაც წინანდელ სხდომებზე შეეხნენ, აგრეთვე 1955 წლის პირველ ნახევარში მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მოწვევისათვის მზადებას.

სხდომაზე გამოვიდნენ: ისრაელის სახელმწიფოს პარლამენტის წევრი ტუბი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე და ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი მიუროს თავმჯდომარე პროფესორი გიორგი ნაჯაკოვი, ირლანდიის ქრისტიან პაციფისტთა წარმომადგენელი მღვდელი არმსტრონგი, მედიცინის დოქტორი ბენ სლიმანი (ტუნისი) და სხვ.

შემდეგ სესია გადადის დღის წესრიგის მე-5 პუნქტზე: 1955 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ყველა ქვეყნის მშვიდობის ძალების წარმომადგენელთა ასამბლეის მოწვევისათვის მზადება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ინდოეთის წარმომადგენელმა კ. ა. აბასმა.

„თავისი სიტყვის დასაწყისში მან ილაპარაკა იმ წარმატებით მუშაობაზე, რომელიც მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის არსებობის უკანასკნელ ხუთ წელიწადში შესრულდა. აბასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის საფრთხე გაქარწყლებული არ არის. აღნიშნა რა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე, აბასმა თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს წინათაც უცდიათ გერმანიის სამხედრო მანქანა გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისათვის, მაგრამ ეს მათთვის მუდამ ცუდად მთავრდებოდა. საბოლოო ანგარიშით, გაეცხადა მან, ეს იმის თქვედა, რომ გერმანული ბომბები ანგრეოდნენ კოვენტრის და ანადგურებდნენ ლონდონს, ხოლო იაპონის თვითმფრინავები ბომბავდნენ პირლ-ჰარბორს.

შემდეგ მომხსენებელმა თავისი მოსაზრება გამოთქვა იმ საკითხებზე, რომლებმაც მთავარი ადგილი უნდა დაიკავონ მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, რომელიც უნდა გაიმართოს 1955 წლის პირველ ნახევარში. ასეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, უწინარეს ყოვლისა, ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემა. აბასი წინადადებას იძლევა, რომ მეცნიერთა სპეციალურმა კომისიამ მომზადოს მოხსენებანი ატომური და ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

სხვა საკითხები, რომლებზეც, აბასის აზრით, უნდა იმუშაოს კონგრესმა, არის საშრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის ინტერვენციის საკითხი, კოლონიურ სისტემასთან ბრძოლა, სხვადასხვა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადებიდან და ხუთი პრინციპიდან, რომლებიც განსაზღვრავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობას ინდოეთთან და ბირმასთან.

აბასმა აგრეთვე წინადადება შეიტანა, რომ კონგრესმა განიხილოს სხვადასხვა სახელმწიფოს კულტურული ურთიერთობის გაფართოების საკითხი. აბასთან მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფართო კულტურული ურთიერთობა უკვე დამყარდა, ერთი მხრივ, ინდოეთსა და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის.

დასასრულ აბასმა ითქვა, რომ მშვიდობის მომავალი მსოფლიო კონგრესი დიდ როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი პიერ მენნე, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა მომავალი კონგრესის ამოცანებს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობა წინააღმდეგია საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის გაძლიერებისა, თქვა მან საზოგადოებრიობას შეუძლია ხელი შეუშალოს და კიდევაც უნდა შეუშალოს ხელი ამ გაძლიერებას. საზოგადოებრივი აზრი, მნიშვნელოვანწილად მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის საქმიანობის მეოხებით, სამედნიეროდ, მზარდ როლს ასრულებს საერთაშორისო საქმეებში.

სიტყვა ეძღვნა ჩილის წარმომადგენელს ხოზე კუუტოს. იგი ლაპარაკობს ლათინური ამერიკის ქვეყნების გაჭირვებულ მდგომარეობაზე და მოჰყავს ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის მთელი რიგი მაგალითები, დაწყებული 1898 წლის სამხედრო ინტერვენციით და გათავებული 1954 წელს გვატემალაში უკანასკნელი ინტერვენციით.

ორატორი წინადადებას იძლევა მშვიდობის მსოფლიო კონგრესამდე მოწვეულ იქნას სპეციალური კონფერენცია იმ მდგომარეობის განსახილველად, რაც შეიქმნა ლათინური ამერიკის ქვეყნებში კოლონიზაციის პოლიტიკის შედეგად, რომელსაც იქ ამპერიალისტური სახელმწიფოები ანხორციელებენ.

მომავალ წელს მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა კონგრესისათვის მზადებაზე ილაპარაკა აგრეთვე აივორ მონტეგიუმ (ინგლისი).

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სესიის სახელზე მოდის მრავალი წერილი მშრომელთა, მეცნიერთა, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, რომლებიც მიესალმებიან მშვიდობის მსოფლიო სხბჭოს და წარმატებას უსურვებენ მას მუშობაში.

სხდომის დასასრულს სესიის მონაწილეებს მიესალმა „შვედი მემარცხენე ქალების კავშირის“ დელეგაცია.

ამით დაიხურა დილის სხდომა.

სრულიად პოლონეთის ეროვნული ფრონტის კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 21 ნოემბერი. (საკდესი). ვარშავაში გაიმართა სრულიად პოლონეთის ეროვნული ფრონტის კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალ არჩევნებს. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სრულიად პოლონეთის ეროვნული ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარემ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბოლესლავ ბერუტმა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზაგდანსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, პოლონეთის მარშალმა კ. როკოსოვსკიმ.

პლენუმი გახსნა ბოლესლავ ბერუტმა. თავის მოკლე შესავალ სიტყვაში მან დაახასიათა სახალხო საბჭოების მომავალი არჩევნების მნიშვნელობა და შეეხო უკანასკნელ საბჭოთა წინადადებებს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

მთელი რიგი წლების მანძილზე, თქვა ბოლესლავ ბერუტმა, ამერიკელი იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ გაეთიშათ ევროპის ხალხები და დაეპირისპირებინათ ისინი ერთმანეთისათვის. ამ მიზნით ისინი აჩქარებენ მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში. ეს ცდები იწვევდა და იწვევს ხალხთა მტკიცე პროტესტებს. ხალხებს ესმით ამ აგრესიული გეგმების მთელი საშიშროება. მშრომელი მასების წინააღმდეგობა ამ გეგმებისადმი მატულობს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს მოიცავს.

ამ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც გააკეთა მან პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის თანხმობით და რომელთა მიზანია დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ. დასავლეთ ევროპის მთავრობები ცდილობენ დაამახინჯონ და ნაწილობრივ მიჩქმალონ ეს წინადადებანი. მაგრამ ამ ქვეყნების მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს კარგად აქვთ წარმოდგენილი, რომ საბჭოთა წინადადებანი ერთადერთი საიმედო საშუალებაა, რომ ევროპის ქვეყნები, მიუხედავად მათი სოციალურ-სოციალური ბოლოდროინდელი ცვლილებისა, ერთად ცხოვრობენ მშვიდობიანად.

გოლესლავ ბერუტის გამოსვლა

ზოგადებრივი წყობილებისა, იხსნან ომის საფრთხისაგან, რომელსაც იწვევს დასავლეთ გერმანიის ვერმახტის აღორძინება ყოფილი ჰიტლერული გენერლების სარდლობით.

ჩვენი ამოცანაა წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, განაცხადა შემდეგ ბ. ბერუტმა, შეეგებებინოთ უაღრესად ფართო მასებს, რომ საქართა მთელი ხალხის დარაზმვა და სოლიდარობა ამერიკელ იმპერიალისტთა ამ ბრიკებთან ბრძოლაში. ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ აღადგინონ ათ წლის წინათ გაანადგურებული ჰიტლერული სამხედრო მანქანა. სახალხო პოლონეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო თათბირში, რომელიც მიეძღვნება ევროპის კოლექტიურ უშიშროებას და რომელიც განზრახულია მოწვეულ იქნას 29 ნოემბერს. ხედავს რა გერმანიის მილიტარიზმის ამერიკელ აღმდგენთა მოქმედებას და აგრესიული გეგმების ფაქტიურ ფაქტებს ცდებს, პოლონელი ხალხი სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად მიიღებს ყველა საჭირო ღონისძიებას მშვიდობის ძალთა განმტკიცების მიზნით.

ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგაჩერებთ ღონისძიებებს, რათა შემდგომ განმტკიცდეს სახელმწიფოების მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, და განხორციელდეს მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების პრინციპები.

პლენუმზე გამოსულებმა ილაპარაკეს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ ამოცანებზე და მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია ევროპაში ხალხთა კოლექტიური უშიშროების ნამდვილი სისტემის შექმნა.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს სრულიად პოლონეთის ეროვნული ფრონტის კომიტეტის განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ, სრულიად პოლონეთის ეროვნული ფრონტის კომიტეტის წევრები, რომლებიც შევიკრიბეთ 1954 წლის 20 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე და წარმოვადგენთ პოლონელი ხალხის ყველა საზოგადოებრივ ფენასა და პოლიტიკურ ჯგუფებს, ვაცხადებთ, რომ პოლონელი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება დანაშაულებრივი გერმანული მილიტარიზმის აღორძინებას და არ შეაჩერებს ევროპის კოლექტიური უშიშროების ქმედითი სისტემის შექმნისათვის ბრძოლას, ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლას...

სავსებით ცხადია, რომ დასავლეთ ევროპაში სამხედრო დაჯგუფების შექმნა და ჰიტლერული არმიის აღორძინება საფრთხე იქნება გერმანიის ყველა მეზობლისათვის როგორც ევროპის აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიც, დამკვიდრებს გერმანიის გათიშვას და გაზრდის ომის საფრთხეს. აგრეთვე სავსებით ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობაში მშვიდობის ბანაკის ქვეყნებმა უნდა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები თავიანთი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ესწრაფვის რა მშვიდობას და საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის ნამდვილ შენელებას, პოლონელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის იდეას, რომელიც დასახა საბჭოთა კავშირმა და რომელიც მოიცავს ევროპის ყველა ქვეყანას და ამავე დროს საფუძველს უქმნის გერმანელი ხალხის მშვიდობიან გაერთიანებას, რომელთანაც ჩვენს ხალხს სურს იცხოვროს თანხმობითა და მეგობრობით. ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს სსრ კავშირის მიერ წამოყენებულ და ჩვენს მთავრობასთან შეთანხმებულ წინადადებას, რათა 29 ნოემბერს მოწვეულ იქნას სრულიად ევროპის თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

ჩვენ გვჯერა, რომ, მიუხედავად ომის გამჩაღებელთა ინტრიგებისა, მოლაპარაკების იდეა, ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა გაიმარჯვებს.

საერთაშორისო აღსანაგური შეჯიბრება თბილისუფალ ქალაქებს შორის



22 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა საერთაშორისო აბსანაგური შეჯიბრება თავისუფალ ქალაქებში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

საზეიმო მარშის ხმაზე ცირკის არენაზე მწყობრად გამოვიდნენ ბულგარეთისა და საქართველოს მოქალაქეთა ნაკრები კოლექტივები. მაყურებლები სპორტსმენებს ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. ბულგარელ მოქალაქეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სახარულიძე. საპასუხო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი გ. პასკალევი.

ყღერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. გუნდების კაპიტნებმა ერთმანეთს გადასცეს ეიმპელები. საქართველოს მოქალაქეებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს.

პირველ წყვილად საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოქალაქეები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჩეპპეინონ ს. დიაჩკინი და სპორტის ოსტატი მ. ცალქალამანი